

შპს „ჯეო-ემ-ტექს“

31 დეკემბრით დასრულებული 2021 წლის ფინანსური
ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020	შენიშვნები
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2 187	43 639	735	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	22 570	2 360	145 569	3.3
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	214 821	8 221	4 166	3.2,4
მარაგები	1 328 010	9 970	7 795	
- მზა პროდუქცია	19 086			3.5
- სხვა	1 308 924	9 970	7 795	3.5
საინვესტიციო ქონება	130 060	130 060	130 060	3.7
სხვა მიმდინარე აქტივები	102 394	18 050	90 424	3.6
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-	
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	784			3.9
ძირითადი საშუალებები	5 379 170	5 312 064	5 720 383	3.8
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	7 179 996	5 524 364	6 099 132	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	51 184	6 321	12 145	3.10
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	114 140	98 165	-	3.11
საგადასახადო ვალდებულებები	161 821	32 231	1 136	3.14
გამოუმუშავებელი შემოსავალი	562 209		-	3.12
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	2 065 628		739 616	3.13
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			7 494 417	3.15
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	2 954 982	136 717	8 247 314	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოორპერატივის შემთხვევაში -	10 080 730	10 080 730	43827	
საემისიო შემოსავალი	-	344 720	-	3.16
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(5 855 716)	(5 037 803)	(2 192 009)	3.16
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	4 225 014	5 387 647	(2 148 182)	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7 179 996	5 524 364	6 099 132	

შპს „ჯეო-ემ-ტექს“-ის დირექტორი

h. სიმონიძე

რამაზ საღარაძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	საანგარიშგებ პერიოდი 2021 წელი	საანგარიშგებ ოს წინა პერიოდი 2020 წელი	შენიშვნები
ნეტო ამონაგები	6 471 995	507 685	
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან	6 471 995	507 685	3.17
სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3 031 821)	(27 143)	3.17
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	3 440 174	480 542	
სხვა შემოსავალი	111 985	24126	3.19
დასაქმებულთა ანაზღაურება	(3 580 060)	(293 659)	3.18
ცვეთა და ამორტიზაცია	(420 840)	(427 573)	3.18
საპროცენტო შემოსავალი:	8 060	92	3.19
საპროცენტო ხარჯი :	(66 691)	(467 407)	3.18
იჯარის ხარჯი	-	-	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(363 240)	(304 386)	3.18
სულ საოპერაციო ხარჯები	(4 310 786)	(1 468 807)	
საოპერაციო მოგება	(870 612)	(988 265)	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	64 532	(1 659 321)	3.20
მიღებული დივიდენდები	-	-	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(11 833)	(198 207)	3.21
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(817 913)	(2 845 793)	3.22
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	(817 913)	(2 845 793)	3.22
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	(817 913)	(2 845 793)	3.22
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(817 913)	(2 845 793)	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5 387 647	(2 148 182)	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		10036902	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(344 720)	344 720	3.16
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4 225 014	5 387 647	

შპს „ჯეო-ემ-ტექს“-ის დირექტორი

Handwritten signature

რამაზ საღარაძე

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯეო-ემ ტექსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 3 აგვისტოსსაჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405111882, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ნინუას ქ. N 3. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. დაარსების დღიდან კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელი იყო რამაზ სალარაძე (პ.ნ.01024047910). 2020 წლის 17 ნოემბერს მან საკუთარი წილის 49 % გაასხვისა შპს დელტა ტექსტილზე (ს/კ 402168220).

1.3. კომპანიის დირექტორიარამაზ სალარაძე (პ.ნ.01024047910).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტექსტილის წარმოება.

1.5. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი

დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრომოკლევადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდასაბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე

თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის

ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 5%;

მანქანა-დანადგარები - 10%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 10%;

ოფისის აღჭურვილობა - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 20%;

ავეჯი - 20%;

ინვენტარი - 20%;

სპეციალური ინსტრუმენტები - 12.5%;

ეზოს კეთილმოწყობა - 10%;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 50%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2021 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	22	2	2
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1680	43561	589
ევროები საბანკო ანგარიშებზე	485	76	144
სულ:	2187	43639	735

3.2. გაცემული მიმდინარე სესხები და მასზე დარიცხული პროცენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გაცემული მოკლევადიანი პროცენტებიანი სესხებზე დარიცხული პროცენტები	314		
სულ:	314	0	0

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	22570	2360	142295
სულ:	22570	2360	142295

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი 2 იურიდიული პირის წინაშე.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8960	4403	3504
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	202299		
წინასწარ ანაზღაურებული სადაზღვევო ხარჯი	3248	3818	3936
სულ:	214507	8221	7440

31.12.2021-ის მდგომარეობით კომპანიას ავანსები გადახდილი აქვს საქართველოს რეზიდენტი 12 და არარეზიდენტი 5 იურიდიული პირისთვის. არსებული ავანსებიდან უდიდესი - 159625 ლარი არის არარეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადარიცხული მასალების შესაძენად, რომელიც მიღებული იქნა 2022 წლის იანვარში.

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მზა პროდუქცია	19086		
მასალები	1308924	9970	7795
სულ:	1328010	9970	7795

3.6. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	396		343
წინსწრებით გადახდილი საპენსიო გადასახადი			102
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	101998	18050	89979
სულ:	102394	18050	90424

მოთხოვნა საწარმოს პერსონალის წინაშე დაიფარა 2022 წელს.

3.7. საინვესტიციო ქონება:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიწა სასოფლო-სამეურნეო 1200 კვ.მ. 81.02.97.247	130060	130060	130060
სულ:	130060	130060	130060

3.8 ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიწა არასასოფლო სამეურნეო 5312 კვ.მ. 01.12.12.001.160	610880	610880	610880
მიწა არასასოფლო სამეურნეო 91 კვ.მ. 01.12.12.001.213	21733	21733	21733
სულ:	632613	632613	632613

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
შენიშვნები	3497146	3730306	3955449
მანქანა-დანადგარები	1156087	838465	958246
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	27090	29391	36739
ოფისის აღჭურვილობა	18829	25925	34740
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	7909	1966	4425
ავეჯი	12987	26236	58841
ინვენტარი	596	1050	3093
სპეციალური ინსტრუმენტები	3245	4013	2902
ავეჯი (სამკერვალო)	-	3024	9690
ეზოს კეთილმოწყობა	14605	19063	23521
1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები	8062	10	124
სულ:	4746557	4679450	5087770

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 3 370 560 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 2 949 784 ლარი;

3.9 არამატერიალური აქტივები

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
არამატერიალური აქტივები	784	0	0
სულ:	784	0	0

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეადგენს სასაწყობო პროგრამა.

3.10. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	51184	6321	12145
სულ:	51184	6321	12145

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 16 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე, რომელიც მიმდინარე დავალიანებებს წარმოადგენს და იფარება 2022 წლის დასაწყისში.

3.11. ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ (სახელფასო)	99009	94793	
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ (საპენსიო)	15131	3372	
სულ:	114140	98165	0

სახელფასო ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე იფარება 2022 წლის იანვარში.

3.12 მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიღებული ავანსები რეზიდენტებისაგან	562209		
სულ:	562209	0	0

2021 წლის ბოლოსთვის ავანსი მიღებულია 1 რეზიდენტი იურიდიული პირისგან.

3.13. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი	508825		30000
იურიდიული პირისგან აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი			207478
ჰალიკბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1401600		500936
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	1014		1203
დამფუძნებელზე გაცემული სესხის ძირი	136276		
დამფუძნებელზე გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი	17913		
სულ:	2065628	0	739617

„ჰალიკბანკიდან“ აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის გამოხატულება ევროებში 2021 წლის ბოლოს შეადგენს 400000 EURO-ს, ხოლო იურიდიული პირისგან აღებული სესხები ლარშია გამოხატული.

3.14. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	161821	32231	1136
სულ:	161821	32231	1136

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება დეკემბრის თვის გადასახდელი თანხებისგან, რომელთა დეკლარირებაც მოხდა 2022 წლის 15 იანვრისთვის.

3.15. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
იურიდიული პირისაგან მიღებული (EURO) გრძელვადიანი სესხი			1567929
პალიკბანკი გრძელვადიანი სესხი 2 (EURO)			5340300
პალიკბანკი გრძელვადიანი სესხი 3 (EURO)			586187
სულ:	0	0	7494416

31.12.2021 მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები.

3.16. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
კაპიტალი	10080730	10080730	43827
დამატებითი საემისიო კაპიტალი		344720	
გაუნაწილებელი მოგება	-5855716	-5037803	-2192009
სულ:	4225014	5387647	-2148182

3.17. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა ტექსტილის წარმოებიდან (სამკერვალო მომსახურება) მიღებული შემოსავლებისგან:

	2021 წელი	2020 წელი
საიჯარო შემოსავლები	2771	365789
შემოსავალი მომსახურებიდან (სამკერვალო)	6469223	141896
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-3031821	-27143
სულ:	3440173	480542

3.18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-3580059	-293659
ცვეთა და ამორტიზაცია	-420840	-427573
საპროცენტო ხარჯები (ბანკის სესხებზე დარიცხული პროცენტები)	-19585	-466316
საპროცენტო ხარჯები (იურიდიულ პირებზე დარიცხული პროცენტები)	-47105	-1091
სხვა საოპერაციო ხარჯები (დაზოვევა უბედურ შემთხვევაზე და სხვა)	-8021	-7930
რეკლამის ხარჯები	-1626	
სატრანსპორტო მომსახურების და მიწოდების სხვა ხარჯები	-7380	
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-48567	-50273
ქონების დაზღვევის ხარჯი	-9285	-8047
სარემონტო ხარჯები	-14492	-8337
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	-26604	-79674
დაცვის ხარჯი	-65085	-65085
კომუნალური ხარჯები	-102480	-71034
მივლინების ხარჯი	-8324	
საბანკო ხარჯები	-8353	-804
საბანკო ხარჯები კონკრეტაციის დროს	-11461	
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-51563	-13202
სულ:	-4430830	-1493025

3.19. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2021 წელი	2020 წელი
სხვა შემოსავალი	1917	1498
პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი	110067	22628
ფინანსური შემოსავლები (იურიდიულ პირზე გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი)	8060	92
სულ:	120044	24218

3.20. არასაოპერაციო ხარჯები:

	2021 წელი	2020 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	89220	1006822
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-24687	-2666144
სულ:	64532	-1659321

3.21. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი:

	2021 წელი	2020 წელი
მს რეალიზაციიდან მიღებული მოგება		1425
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-11833	-199632
სულ:	-11833	-198207

3.22. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

	2021 წელი	2020 წელი
მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი	-817913	-2845793
სულ:	-817913	-2845793

3.23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 28 სექტემბერს.